პროექტი

საქართველოს კანონი
საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების
შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1) 188-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის ცხრილის მე-3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა)				
3	2402 10 000 01	– – სიგარები , სიგარები წაჭრილი ბოლოებით , თამბაქოს შემცველობით	1 ღერი	1.9
	2402 10 000 02	– – სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	2.2
	2402 20	– სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	1.7
	2403 11 000 00*	– – ყალიონით მოსაწევი თამბაქო, ამ ჯგუფის სუბპოზიციისათვის 1-ლი შენიშვნის შესაბამისად	1 კგ	35
	2403 19 000 00*	– – დანარჩენი	1 კგ	35
	2403 99 100 00	– – – საღეჭი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქო	1 კგ	35
	2403 99 900 01	– – – – – კაფსულები და მსგავსი სახის პროდუქტები , თამბაქოს შემცველობით	20 ცალი	1.7
	2403 99 900 02	– – – – – თამბაქოს ნაწარმი , წვის პროცესის გარეშე , ორთქლის მისაღებად გამოსაყენებელი	20 ღერი	1.7 “.

ბ) 1^1 და 1^2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1^1. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ღერზე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 კოდში მითითებული საქონლისათვის 20 ცალზე, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდში მითითებული საქონლისათვის 20

ღერზე აქციზის განაკვეთია ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 10 პროცენტის ჯამი. აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი დგინდება ამ საქონლის მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საცალო სარეალიზაციო ფასებისა და საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა ინფორმაციის საფუძველზე არაუგვიანეს ყოველი წლის 1 დეკემბრისა და გამოიყენება მომდევნო წლის 1 იანვრიდან 1 წლის განმავლობაში.

1^2. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებულ სიგარეტებზე, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01, 2403 99 900 02 კოდებში მითითებულ საქონელზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საცალო სარეალიზაციო ფასს და მისი დადგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**